



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის

2017 წლის 27 ოქტომბერი N102 ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი" პროფესიული

საგანმანათლებლო დუალური პროგრამა

მეფუტკრე III საფეხური

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 106

ტელეფონი: T- (365)2 2 11 03 ; T-599172005 ; (365) 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებ გვერდი: www.profkoleji-opizari.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: ე.ზაზაძე; გ. მერაბიშვილი; ზ. ივანიძე.

I. სახელწოდება: მეფუტკრე

II. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი: 08101-3

III. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- მეფუტკრის პროფესიული სტანდარტი
- მეფუტკრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი

IV. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს პროფესიონალ მეფუტკრეთა მომზადება, რომლებიც დააკმაყოფილებენ დარგში მზარდ მოთხოვნებს. მეფუტკრეობის დარგთან დაკავშირებული უნარების გარდა, სტუდენტები შეიძენენ ფართოდ გამოყენებად, ზოგად/ტრანსფერულ უნარებს. ისინი აღჭურვილნი იქნებიან ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების უნარ-ჩვევებით. ასევე არჩევითი მოდულების ბლოკი სტუდენტებს საშუალებას მისცემს ცოდნა გაიღმავონ პროფესიაში ან მომიჯნავე სფეროში, ან შეიძინონ დამატებითი ტრანსფერული უნარები. პროგრამის მოდულური სტრუქტურა ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის შიგნით სტუდენტთა მობილობას, ისე სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას.

V. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საფუტკრე მეურნეობებში ან შესაბამისი პროფილის გადამამუშავებელ საწარმოში, ასევე შეუძლია საკუთარი ბიზნესის წამოწყება და თვითდასაქმება.

VI. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

VII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

VIII. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მესამე

IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საფუტკრე მეურნეობის მოწყობა
- მეფუტკრეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა
- ფუტკრის მოვლა-პატრონობა
- მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოება
- ვეტერინარულ-სანიტარიული და სანიტარიულ-ჰიგიენური, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა
- საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური და პირადი პროფესიული განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 72 კრედიტი; 13 სასწავლო თვე;
- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 87 კრედიტი; 16 სასწავლო თვე

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები ¹	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	გაცნობითი პრაქტიკა-მეფუტკრე	2	სკებისა და ჩარჩოების აწყობა-შეკეთება	3
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-მეფუტკრე	8		
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	პრაქტიკული პროექტი-მეფუტკრე	5		
მეწარმეობა 1	2	საფუტკრე მეურნეობის ორგანიზება	7		
სამოქალაქო განათლება	2	ფუტკრის მოვლა-პატრონობა	9		
უცხოური ენა	4	მეფუტკრეობის პროდუქტები, მათი მიღება, პირველადი დამუშავება და შენახვა	8		
ქართული ენა A2	15	საფუტკრე მეურნეობაში ვეტერინარულ-სანიტარული და	7		

		სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა			
		შრომისა და უსაფრთხოების დაცვა მეფუტკრის პროფესიასთან მიმართებაში	3		
		საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური განვითარება	3		
სულ:	31	სულ:	52	სულ:	3

XII. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

წინამდებარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

XIII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პროფესიულ სტუდენტს კრედიტი მიენიჭება მიღწეული სწავლის შედეგის დადასტურებისას.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტროს მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

რეალურ საწარმოში მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურებისათვის მტკიცებულებს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოებული დღიური, რომელსაც საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს საწარმოში სწავლებაზე პასუხისმგებელი პირი და აფასებს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

XIV. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ოპიზარის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა, უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

კვალიფიკაციის მინიჭების პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

XV. მესამე საფეხურის პროგრამებში: „მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“

XVI. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურებისას, ხოლო კვალიფიკაცია ენიჭება მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

VII. პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოები:

1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“

პროგრამის განხორციელებისათვის დადებულია ხელშეკრულებები 15.08.2017წ

2. რ.კ. „მესხი მეფუტკრეები“ ახალციხე-- აგარა.

ზაზაძე ელვარდი ტ. 571 02 12 24

3. კოოპერატივი „კოდი“

ახალციხე. გიორგი მერაბიშვილი ტ.593 90 30 60

4. ქართული „ნექტარი“
ივანიძე ზაზა ტ. 555 34 73 37 .

დანართი 1. სასწავლო გეგმა

დანართი 2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი 3. ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი 4. რაოდენობრივი წიგნიერება

დანართი 5. სამოქალაქო განათლება

დანართი 6. მეწარმეობა

დანართი 7. ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დანართი 8. უცხოური ენა

დანართი 9. ქართული ენა A2

დანართი 10. გაცნობითი პრაქტიკა-მეფუტკრე

დანართი 11. საწარმოო პრაქტიკა-მეფუტკრე

დანართი 12. პრაქტიკული პროექტი-მეფუტკრე

დანართი 13. საფუტკრე მეურნეობის ორგანიზება

დანართი 14. ფუტკრის მოვლა-პატრონობა

დანართი 15. მეფუტკრეობის პროდუქტები, მათი მიღება, პირველადი დამუშავება და შენახვა

დანართი 16. საფუტკრე მეურნეობაში ვეტერინარულ-სანიტარული და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა

დანართი 17. სკებისა და ჩარჩოების აწყობა-შეკეთება

დანართი 18. შრომისა და უსაფრთხოების დაცვა მეფუტკრის პროფესიასთან მიმართებაში

დანართი 19. საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური განვითარება

დანართი 20. ქართული ენა A2